ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2662766

ნომერი: AR1411646

თარიღი : 08.06.2016

გაცემის თარიღი : 21.06.2016

გაცნობის თარიღი : 27.06.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფერდობი ნუცუბიძე , მიკრო/რაიონი III , (ნაკვეთი N25/62) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გრიგოლ ენდელაძე პ/ნ 09001017863
- ბაღდათი ს. ფერსათი 41–ე ქ. N 3

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1411646 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, III მ/რ-ში #01.14.02.025.062 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე წარმოების დაწყების შემთხვევაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში ნუცუბიძის ფერდობი, III მ/რ-ში (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს. თქვენი შეტყობინება მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ 2015 წლის 04 ავისტოს №2048802 ბრძანებით და სანებართვო მოწმობით შეთანხმებულია კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობის III მ/რ-ში, (ნაკვეთი N25/62), თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.14.02.025.062) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის, ხოლო აღნიშნულში მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლის გამო, სამსახურის №2504127 28.03.2016წ. ბრძანებით გაიცა ახალი
მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა, რომლის მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 28 მარტიდან 2017 წლის 28 ივნისის ჩათვლით.

ვინაიდან ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე, ამისათვის (www.tas.ge) უნდა აირჩიოთ ინტერაქტიული რუკა და ძიებაში მიუთითოთ თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი ან/და სამსახურის პასუხის ძიებაში მიუთითოთ #AR1311035, AR1386830 განაცხადის ნომრები.

სამსახურის მიერ №2048802, №2504127 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

დამატებით გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით. სამსახურის მიერ 2012-2016 წლების ინფორმაცია გამოტანილია ვებ–გვერდზე (www.tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.